



**სამართლის დარგობრივი მახასიათებელი**

**უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურები**

**კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს VI და VII დონეები**



## I. შესავალი

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი<sup>1</sup> არის აკადემიური განათლების სტანდარტი, რომელიც სამართლის სფეროს I და II საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღვრავს კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგების მინიმალურ მოთხოვნებს, მათ მისაღწევად საჭირო სწავლება-სწავლისა და შეფასების მიდგომებს. დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადაა 7 წელი.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი განსაზღვრავს ძირითად მახასიათებლებსა და შესაძლებლობებს, რომლებიც მოეთხოვება სამართლის ბაკალავრსა და მაგისტრს.

სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მიზანია ხელი შეუწყოს სამართლის საბაკალავრო (I საფეხური) და სამაგისტრო (II საფეხური) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, სტუდენტთა მობილობას, მინიჭებული კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებას, იურისტის პროფესიაში შესვლასა და დასაქმებას.

სამართლის დარგობრივი მახასიათებელი აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი სამართლის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას შეიძენს.<sup>2</sup>

წინამდებარე დარგობრივ მახასიათებელს უნდა იცნობდეს პირი, თუ იგი მონაწილეობს სამართლის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ან საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შემუშავებაში, განხორციელებაში და განხილვაში.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:

- აბიტურიენტისთვის, რომელსაც სურს შეისწავლოს სამართალი. ასევე, სტუდენტისთვის, რომელსაც აინტერესებს რა ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს შეიძენს სამართლის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ;
- დამსაქმებლისთვის, რომელსაც სურს სამართლის საბაკალავრო ან სამაგისტრო

<sup>1</sup> დარგობრივი მახასიათებელი - შუალედური დოკუმენტი, რომელიც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს საგანმანათლებლო პროგრამასთან აკავშირებს და რომლის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნებისა და მოქნილობის უზრუნველყოფა. ის აღწერს სწავლის მინიმალურ შედეგებს, რომლებსაც შესაბამისი დონისა და სწავლის სფეროს/დარგის კვალიფიკაციის მფლობელმა უნდა მიაღწიოს.

<sup>2</sup> საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების ჩამოყალიბება ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის დაყოფის პრინციპით არ არის სავალდებულო.



საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შესახებ ინფორმაციის მიღება.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი უნდა დაიცვას ყველა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, სადაც ხორციელდება სამართლის საბაკალავრო ან/და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. ამასთან, სამართლის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შინაარსი, ასევე, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები განისაზღვრება თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დარგობრივ მახასიათებელთან სამართლის საბაკალავრო ან/და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მონიტორინგი შესაძლებელია განხორციელდეს პერიოდულად, მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტებისა და შესაბამისი პროცედურების საფუძველზე.

დარგობრივ მახასიათებელში აღწერილია სამართლის სფერო, სამართლის ბაკალავრისა და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო სწავლის შედეგები, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები, სხვა დამატებითი ინფორმაცია.

წინამდებარე სამართლის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული დებულებები, გარდა სარეკომენდაციო ხასიათისა, სავალდებულოა შესასრულებლად ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, სადაც ხორციელდება სამართლის საბაკალავრო ან/და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

სამართლის დარგობრივი მახასიათებლის განახლების საფუძველია აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისობაში მოყვანა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს არსებულ და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან.

## II. სწავლის სფეროს აღწერა

სამართალი სავალდებულო ქცევის წესების სისტემაა, რომლის უზენაესი ღირებულება ადამიანია. სამართლის დანიშნულებაა ისეთი მართლწესრიგის შექმნა, სადაც ადამიანი დაცულად იგრძნობს თავს და პირადი ავტონომიის ფარგლებში შეძლებს თავისი უფლებების დაუბრკოლებლად რეალიზებას. მართლწესრიგი დგინდება კანონითა და მისი სათანადო განმარტების საშუალებით, რა დროსაც აუცილებელია სამართლის უზენაესობის, თანაზომიერების, განსაზღვრულობის, თანმიმდევრულობის, ეფექტიანობისა და სხვა ფუძემდებლური პრინციპების დაცვა.

იურისტის პროფესია ემსახურება ადამიანის უფლებების დაცვას, სამართლის დანიშნულების რეალიზებას, კერძო და საჯარო ინტერესების მაქსიმალური დაბალანსებით სამართლიანობის უზრუნველყოფას.



სამართლის საბაკალავრო პროგრამა არის კერძო თუ საჯარო სფეროში, მათ შორის, საჯარო უფლებამოსილებით აღჭურვილ ორგანოებში იურისტის პროფესიაში შესვლის/დასაქმების საშუალება. ამასთან, სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის გარდა, ადვოკატის, ნოტარიუსისა და პროკურორის პროფესიაში შესვლის წინაპირობაა, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. სამართალსა ან მის რომელიმე დეტალურ/კონკრეტულ სფეროში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოპოვება, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებთან ერთად, მოსამართლის პროფესიაში შესვლის წინაპირობაა.

სამართლის დეტალური/კონკრეტული სფეროს (საჯარო, სისხლის ან კერძო სამართალი), ასევე საერთაშორისო სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის ტოლფასია.

### III. სწავლის შედეგები

დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიმართულია იმ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შეძენა/განვითარებისკენ, რომლებიც სტუდენტს მოეთხოვება შესაბამის საფეხურზე (ბაკალავრიატი ან მაგისტრატურა) სწავლის დასრულებისას.

დარგობრივ მახასიათებელში მოცემული სწავლის შედეგები მოიაზრებს მინიმალურ მოთხოვნებს. უსდ-ს შეუძლია, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და დარგის თანამედროვე მიღწევების/გამოცდილების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამით სხვა შედეგებიც განსაზღვროს.

#### 3.1. სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები:

##### 3.1.1. ცოდნა და გაცნობიერება

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი

აღწერს:

- სამართლის არსს, სისტემას, ძირითად პრინციპებს, სამართლებრივ სისტემებს, ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს;
- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული დარგობრივი სასწავლო კურსების ძირითად თეორიებს, წესებს, პრინციპებსა და რეგულირების თავისებურებებს, მათ შორის:



- ადამიანის უფლებათა კონცეპტუალურ და ღირებულებით საკითხებს, შეზღუდვის პრინციპებსა და დაცვის ეროვნული მექანიზმის თავისებურებებს, სახელმწიფო მოწყობის ძირითად პრინციპებსა და ეროვნული მოდელის თავისებურებებს, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს, საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების თავისებურებებს;
  - კერძო სამართლის სისტემას, სამოქალაქო სამართლის უზოგადეს ცნებებსა და პრინციპებს, სამეწარმეო თავისუფლებისა და შრომის უფლების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, სამოქალაქო სამართალწარმოების თავისებურებებს;
  - სისხლის სამართლის პრინციპებს, დანაშაულის არსსა და სახეებს, სასჯელის სისტემას, სისხლის სამართალწარმოების სტადიებსა და თავისებურებებს;
  - საერთაშორისო სამართლის სისტემას, ძირითად პრინციპებს, ინსტიტუტებს, საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობების მექანიზმებს, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის თანაფარდობას.
- განსაზღვრავს სამართლებრივი დავის წარმოშობის მიზეზებს, ძირითად მახასიათებლებსა და მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზებს.

### 3.1.2. უნარი

#### სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი

- ამოიცნობს სამართლის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებს და სტანდარტული ან/და ზოგიერთი უახლესი მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის შესაბამის გზებს;
- აანალიზებს სამართლის ნორმებს, წყაროებს, მეთოდებს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების, სამართლებრივ დავაში პოზიციების დასაბუთების, კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელებისან სხვა იურიდიული ამოცანის გადაწყვეტის მიზნით;
- ადგენს სამართლებრივი დოკუმენტების, მათ შორის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, სამართალშეფარდებითი აქტების, საპროცესო დოკუმენტების, ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების პროექტებს; შეიმუშავებს კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტებს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- შეიმუშავებს დავის გადაწყვეტის სტრატეგიასა და ტაქტიკას, დავის გადაწყვეტის კანონიერი საშუალებებისა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით;
- მსჯელობს საკუთარი იდეების, არსებული სამართლებრივი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერიტი ფორმით, შესაბამისი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
- მოიძიებს და გამოარჩევს საჭირო ინფორმაციას, მათ შორის, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო



სიახლეებს, ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემებისა და სხვა მონაცემთა ბაზების, ძირითადი სამართლებრივი საინფორმაციო სისტემების მეშვეობით.

### 3.1.3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- ცნობს იურისტის ეთიკური სტანდარტების საჭიროებას, მოქმედებს იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში, პატივს სცემს ადამიანის უფლებებს, მონაწილეობს შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინებით;
- წარმართავს საკუთარი და სხვების განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპების დაცვით;
- ავლენს საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარს, „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით.

3.2. სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები:

#### 3.2.1. ცოდნა და გაცნობიერება

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი

- აღწერს:
  - ეროვნული და უცხოური სამართლის მიღწევებს, განვითარების პერსპექტივებსა და ძირითად ტენდენციებს, ასევე, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართების პრობლემებს;
  - თანამედროვე იურიდიული მეცნიერების მეთოდოლოგიურ ცნებებსა და პრინციპებს, იურიდიული მეცნიერების აქტუალურ პრობლემებს, სამეცნიერო კვლევის თანამედროვე დარგობრივ მეთოდებს, აკადემიური პატიოსნების წესებსა და აკადემიური ეთიკის საკითხებს. ასევე, პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითად წესებსა და პრინციპებს;
  - თანამედროვე ეროვნული კანონმდებლობის განვითარების ტენდენციებს, გამოწვევებს და ხარვეზებს, მისი სრულყოფისა და გადაწყვეტის ძირითად გზებს;
  - პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპებს, ეროვნული და უცხოური გამოცდილების, უახლესი ეროვნული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის განზოგადებით;
  - სამოსამართლო ეთიკის წესებს, მათ შორის მოსამართლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის საკითხებსა და მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების თავისებურებებს.





- ხსნის ევროკავშირის სამართლის გავლენის მნიშვნელობას ქართული სამართლის განვითარებაზე;
- განსაზღვრავს შედარებითი სამართლის არსსა და შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენების დანიშნულებას.

### 3.2.2. უნარი

#### სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- ანალიზებს მოქმედ კანონმდებლობას, სასამართლო პრაქტიკას, საკანონმდებლო ნოვაციებს, უახლეს მეცნიერულ კვლევებს და პრაქტიკაში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების ან/და კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე შეიმუშავებს საკუთარ ორიგინალურ სამართლებრივ დასკვნებს;
- აფასებს იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივ გარემოებებს, არასტანდარტულ სამართლებრივ სიტუაციებს, პოულობს სამართლებრივ ხარვეზებს, რთულ პრობლემებს და აყალიბებს მათი გადაწყვეტის ახალ, ორიგინალური გზებს; განსაზღვრავს საკუთარი გადაწყვეტილებების დადებით და უარყოფით შედეგებს;
- განმარტავს სამართლის ნორმებს პროფესიულ დონეზე, შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლის ნორმების შედარებითი ურთიერთკავშირის საფუძველზე;
- ამოიცნობს აქტუალურ სამეცნიერო სამართლებრივ პრობლემას, შეიმუშავებს მისი გადაწყვეტის სამეცნიერო გზებს, სამართლის აქტუალურ საკითხებზე გეგმავს სამეცნიერო-კვლევით პროცესს, ახდენს კვლევის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის უცხოური სამართლებრივი საინფორმაციო რესურსებიდან, მიღებული პირველადი მონაცემების, რთული ან არასრული ინფორმაციის სისტემატიზაციას და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით შეიმუშავებს სამეცნიერო კვლევით პროექტს/ნაშრომს;
- ახდენს აკადემიურ, კომპლექსურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების თაობაზე წერით და ზეპირ კომუნიკაციას, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

### 3.2.3. პასუხისმგებლობა და ავტონომია

#### სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- პატივს სცემს სამოსამართლო ეთიკის სტანდარტებს, მოსამართლის ღირებულებებით ასპექტებს (მიუკერძოებლობა, შეუვალობა, თანასწორობა, კომპეტენცია და გულისხმიერება) და საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობს აღნიშნული ღირებულებების განვითარებაში, მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად;
- აღიარებს და პატივს სცემს აკადემიური პატიოსნების წესებს, სამეცნიერო კვლევის ეთიკურ შედეგებს, იღებს სახელმძღვანელო მითითებებს კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან



მულტიდისციპლინური მასალისა თუ გარემოს სამართავად. მათ შორის, გეგმავს და მართავს სამუშაო დროს, შეიმუშავებს სტრატეგიულ მიდგომას კვლევასთან მიმართებით, ნაშრომის მოსამზადებლად;

- მონაწილეობს პროფესიული ცოდნისა და სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებაში, იყენებს სტრატეგიულ მიდგომებს და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციურ გზებს, ეხმარება კოლეგებს და უზიარებს მათ საკუთარ გამოცდილებას;
- ავლენს უახლესი ინფორმაციის ავტონომიურად მოძიებისა და სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს;
- იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი, სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე, ქმნის პირობებს საერთო გუნდური გადაწყვეტილების მისაღწევად;
- გამოხატავს პატივისცემას დემოკრატიული ღირებულებებისადმი, აღიარებს დემოკრატიის პირობებში ბალანსის აუცილებლობას თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის.

**შენიშვნა:** საერთაშორისო სამართლის, საჯარო სამართლის, სისხლის სამართლის ან კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამების შემუშავებისას სწავლის შედეგების ჩამოყალიბება უნდა განხორციელდეს შესაბამისი სწავლის სფეროების მიხედვით.

#### IV. სწავლება, სწავლა და შეფასება

სამართლის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად, ასევე, სწავლის შედეგების შეფასების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, შერჩეული იყოს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რელევანტური სწავლების მეთოდები და გამოყენებული იყოს სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ადეკვატური მეთოდები. სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უნდა უწყობდეს სტუდენტს ახალი ინფორმაციის შეგროვებაში, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანაში, დამოუკიდებლად აზროვნებაში, ცოდნის გაღრმავებაში.

სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სწავლების საფეხურიც. სამართლის საბაკალავრო საფეხურიდან სამართლის სამაგისტრო საფეხურზე გადასვლასთან ერთად, უფრო ინტენსიური უნდა იყოს პრობლემასა და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მიდგომების გამოყენება. აღნიშნული ხელს უწყობს სტუდენტს გამოიმუშაოს კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარი.

სტუდენტის შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. სტუდენტთა შეფასების სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს კურიკულიმითა და თითოეული სასწავლო კურსით განსაზღვრულ შედეგს.

სტუდენტთა შეფასება უნდა იყოს მრავალკომპონენტური და უზრუნველყოფდეს თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმების გამოყენებით.





სტუდენტთა შეფასება უნდა ეფუძნებოდეს შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა, გამჭვირვალობა.

ქვემოთ მოცემული სწავლა-სწავლების მეთოდები და სტუდენტთა შეფასების სისტემა ყველაზე გავრცელებულია, თუმცა უსდ-თვის ისინი სარეკომენდაციო ხასიათისაა. სამართლის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის გეგმა/სილაბუსი/მოდული შეიძლება ითვალისწინებდეს როგორც აღნიშნულ, ასევე - სხვა მეთოდებსაც. ამასთან, სწავლა-სწავლებისა და სტუდენტთა შეფასების მეთოდების შერჩევასა მნიშვნელოვანია მიღწეულ იქნეს წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგები.

#### 4.1. სწავლება-სწავლის მეთოდები<sup>3</sup>

სამართლის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის გეგმა/სილაბუსი/მოდული უნდა ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რომლებიც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს.

სასწავლო კურსის გეგმით/სილაბუსით/მოდულით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს სწავლების საფეხურს, კონკრეტული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლა-სწავლების მეთოდები ორიენტირებული უნდა იყოს არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზეც.

სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყოფდეს სასწავლო კურსის გეგმით/სილაბუსით/მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევას უნდა განისაზღვროს სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეეძლება სტუდენტს. შესაბამისად, სასწავლო კურსის გეგმებით/სილაბუსებით/მოდულებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უნდა უწყობდეს არა მხოლოდ კონკრეტული მასალის ათვისებას, არამედ ზოგადი/დარგობრივი უნარების განვითარებასაც.

სამართლის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად შესაძლებელია გამოიყენებოდეს სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები,

---

<sup>3</sup> მეთოდი - მიზნის მისაღწევი გზები. სწავლების მეთოდი - ლექტორის მიზანმიმართული ქმედება სტუდენტებში შესაბამისი კომპეტენციის განსავითარებლად.



როგორებიცაა:

- ლექცია;
- პრაქტიკული მუშაობა (სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, სასწავლო პრაქტიკა);
- ელექტრონული სწავლება (ელექტრონული რესურსით სწავლება);
- სხვა.

#### 4.2. სწავლება-სწავლის მეთოდებისას გამოსაყენებელი აქტივობები

სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს. სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებს და ერთმანეთში გადადის. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ, რამდენიმე ან ნებისმიერ სხვა აქტივობას, კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

რეკომენდებულია სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული იქნეს შემდეგი აქტივობები, თითოეულ სწავლის შედეგთან მიმართებით:

**ცოდნა და გაცნობიერება:**

- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი;
- წიგნზე მუშაობა;
- წერიტი მუშაობა;
- ვერბალური ახსნა-განმარტება;
- დემონსტრირება;
- შემთხვევის ანალიზი (Case study);
- დამოუკიდებელი სწავლა;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- გონებრივი იერიში (Brain storming);
- სხვა.

**უნარი:**

- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (IBD);
- როლური და სიტუაციური თამაშები;
- შემთხვევის ანალიზი (Case study);
- გონებრივი იერიში (Brain storming);
- ევრისტიკული მეთოდი;
- გუნდური (collaborative) მუშაობა;
- დისკუსია/დებატები;



- ანალიზი;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია (ზეპირი, Power Point და სხვა);
- პრაქტიკული მეთოდები;
- სხვა.

#### პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

- დამოუკიდებელი სწავლა (ესეს, რეფერატის, პროექტის, მოხსენების მომზადება);
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- დისკუსია-დებატები, რომელთა დროსაც სტუდენტი შეძლებს წარმოაჩინოს ეთიკური ნორმების გაგებისა და არგუმენტაციის უნარ-ჩვევები;
- სხვა.

#### 4.3. სტუდენტის შეფასება

სამართლის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შეფასება უნდა განხორციელდეს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

#### 4.4. შეფასების კომპონენტები და მეთოდები

სამართლის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის გეგმით/სილაბუსით/მოდულით გათვალისწინებული შეფასების ფორმები (შუალედური და დასკვნითი შეფასება) შესაძლოა მოიცავდეს შეფასების კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხებს:

- ზეპირი გამოცდა;
- წერიტი გამოცდა;
- ზეპირიგამოკითხვა;
- წერიტი გამოკითხვა;
- საშინაო დავალება;
- თეორიული სამუშაო;
- პრაქტიკული სამუშაო;
- სხვა.

სამართლის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის გეგმით/სილაბუსით/მოდულით გათვალისწინებული შეფასების კომპონენტები შესაძლოა აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს:



- ტესტი;
- ქვიზი;
- ღია კითხვა;
- ესე/ესეი;
- დემონსტრირება;
- პრეზენტაცია ქართულ და უცხოურ ენაზე;
- მოხსენებება;
- სასემინარო მოხსენება;
- რეფერატი (წერიტი ნაშრომი);
- კითხვა-პასუხი;
- პრაქტიკული დავალების შესრულება;
- თეორიული დავალების შესრულება;
- ჯგუფური სამუშაოს შესრულება;
- დისკუსია-დებატებში მონაწილეობა;
- კაზუსის ამოხსნა;
- შემთხვევის განხილვა/ანალიზი;
- იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა;
- როლური თამაში;
- სიმულაცია;
- აქტიურობა პრაქტიკული სამუშაოების შესრულებისას;
- შესრულებული პრაქტიკული სამუშაოების დემონსტრირება;
- სხვა.

შეფასების მეთოდები უნდა გაიზომოს შეფასების კრიტერიუმებით, ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რომლითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

#### 4.5. სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარება

პრაქტიკული კომპონენტი სამართლის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელი კომპონენტია. მისი მიზანია სტუდენტის აუცილებელი პრაქტიკული უნარების განვითარება.

პრაქტიკული კომპონენტი დაგეგმილი და ორგანიზებული უნდა იყოს თანმიმდევრულად და სტრუქტურირებულად. ის მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგებთან.

პრაქტიკული კომპონენტის კონკრეტული მოდელის, მისი შინაარსისა და ფორმის შერჩევა წარმოებს უსდ-ის მიერ, არსებული რესურსების, ინფრასტრუქტურის, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, ხედვისა და კონცეფციის გათვალისწინებით.



საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების არაერთი მოდელი არსებობს. საგანმანათლებლო პროგრამაში ის შეიძლება წარმოდგენილი იყოს თეორიულ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტის, დამოუკიდებელი პრაქტიკული კურსის/კურსების, ე.წ. აქტიური პრაქტიკის (იურიდიული კლინიკის) ანდა სხვა სახით.

რეკომენდებულია სამართლის საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტი წარმოდგენილი იყოს თეორიულ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკული ელემენტებისა და დამოუკიდებელი პრაქტიკული კურსის/კურსების თანმიმდევრული განხორციელების სახით.

საგანმანათლებლო პროგრამის თეორიულ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტი ფოკუსირებული უნდა იყოს იმ თემატიკაზე, რომელსაც ითვალისწინებს შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსი. ამ შემთხვევაში წარმოებს თეორიული ცოდნისა და გამოცდილების მყისიერი ტრანსფერი პრაქტიკაში. პრაქტიკული კომპონენტის აღნიშნული მოდელი გამჭოლად უნდა გასდევდეს პროგრამას და მას ინტენსიური ხასიათი უნდა გააჩნდეს.

რეკომენდებულია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტი ასევე წარმოდგენილი იყოს დამოუკიდებელი პრაქტიკული კურსის/კურსების სახით, რომელიც/რომლებიც სტუდენტებს პროგრამის დასკვნით ეტაპზე უნდა შეეთავაზოთ. პრაქტიკული კომპონენტის აღნიშნული მოდელი სტუდენტის მიერ პრაქტიკული კომპონენტის ადგილზე აქტივობების დამოუკიდებლად განხორციელებას გულისხმობს. აღნიშნული კურსის/კურსების მიზანია თეორიულ კურსებში მიღებული ცოდნის, უნარების, გამოცდილების შეჯამება და მათი პრაქტიკულად განხორციელება.

საბაკალავრო საფეხურზე პრაქტიკული კომპონენტის აღნიშნული მოდელის გამოყენებისას კურსებში ჩაშენებული პრაქტიკული ელემენტების ფარგლებში სტუდენტი ჩართულია პრაქტიკულ აქტივობებში პროგრამაზე სწავლის პირველივე ეტაპიდან, ხოლო შემაჯამებელი პრაქტიკული კურსი/კურსები საშუალებას აძლევს მას დამამთავრებელ ეტაპზე მოახდინოს პროგრამაზე სწავლის სხვადასხვა ეტაპზე მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის, უნარების შეჯამება, ანალიზი, თვითშეფასება და რეფლექსია.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტი უნდა უზრუნველყოფდეს თანმიმდევრულ გადასვლას პასიური პრაქტიკიდან აქტიურ პრაქტიკაზე.

რეკომენდებულია სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკა წარმოდგენილი იყოს ე.წ. აქტიური პრაქტიკის (მაგალითად, იურიდიული კლინიკის) სახით. აქტიური პრაქტიკის (იურიდიული კლინიკის) ფარგლებში სტუდენტი თავად გეგმავს და ახორციელებს პრაქტიკულ აქტივობებს პრაქტიკის ხელმძღვანელთან შეთანხმებით და მისი მეთვალყურეობით.





სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გეგმა/სილაბუსი/მოდული დეტალურად უნდა აღწერდეს კომპონენტის მიზანს, შინაარსს, სწავლის შედეგებს, სწავლება-სწავლის მეთოდებსა და აქტივობებს, სტუდენტის შეფასების მექანიზმებს და სხვ. ასეთ შემთხვევაში, იურიდიული კლინიკის პროცესი იქნება ცხადი და თანმიმდევრულად აღქმადი როგორც სტუდენტებისთვის, ასევე იურიდიული კლინიკის ადგილზე პრაქტიკის ხელმძღვანელებისთვის.

აქტიური პრაქტიკის (იურიდიული კლინიკის) განსახორციელებლად უნდა შეირჩეს პროგრამის მიზნებისათვის რელევანტური პარტნიორი ორგანიზაციები. პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პირობები უნდა განისაზღვროს ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტით (მემორანდუმი, ხელშეკრულება).

ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტი დეტალურად უნდა აღწერდეს მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, მათ შორის, სტუდენტების სავარაუდო რაოდენობას, პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს სტუდენტთა პრაქტიკულ კომპონენტის განხორციელების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს პრაქტიკული კომპონენტის ფორმატს, ფორმატის შესაბამისად სტუდენტთა რაოდენობას, პარტნიორი ორგანიზაციების ადამიანურ, მატერიალურ რესურსებსა და სხვ.

რეკომენდებულია სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში იურიდიული კლინიკის მოცულობა განისაზღვროს 15–30 კრედიტის ფარგლებში.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, აქტიური პრაქტიკის (იურიდიული კლინიკის) გარდა, მიზანშეწონილია ითვალისწინებდეს სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკული ელემენტების მოდელსაც, რომელიც ფოკუსირებულია მხოლოდ შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსით გათვალისწინებულ თემატიკაზე. ამ შემთხვევაში წარმოებს თეორიული ცოდნისა და გამოცდილების მყისიერი ტრანსფერი პრაქტიკაში.

შესაძლებელია აქტიური პრაქტიკა (იურიდიული კლინიკა) განხორციელდეს უშუალოდ უსდ-შიც, შესაბამისი იურიდიული მომსახურების სერვისისა და ინფრასტრუქტურის არსებობისას.

პრაქტიკული კომპონენტის შესაფასებლად გამოყენებულ უნდა იქნეს შეფასების ადეკვატური კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.

#### 4.6. სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარება



სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების მეთოდოლოგია ორიენტირებული უნდა იყოს კვლევაზე, რომელსაც წინ უნდა უძღოდეს კვლევითი კომპეტენციის განმავითარებელი კურსები.

კვლევითი კომპონენტი გამჭოლად უნდა გასდევდეს პროგრამას. მისი თანმიმდევრული განხორციელებით უნდა მიიღწოდეს სტუდენტებში კვლევითი დასამეცნიერო უნარების განვითარება, რაც პროგრამის დასკვნით ეტაპზე სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომით (სამაგისტრო ნაშრომით) დადასტურდება.

პროგრამაში კვლევითი კომპონენტი ისე უნდა იყოს სტრუქტურირებული, რომ უზრუნველყოფდეს სტუდენტის მომზადებას დასკვნითი კვლევითი ნაშრომის დაგეგმვისა და ჩატარებისთვის.

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას წინ უნდა უძღოდეს კვლევითი უნარების განმავითარებელი თეორიული და პრაქტიკული კურსები, რომლებიც სამართლის სფეროს შესაბამისი კვლევის მეთოდების შესწავლასა და კვლევითი ინტერესების ჩამოყალიბებაში დაეხმარება სტუდენტებს.

სამაგისტრო ნაშრომის მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად, სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული უნდა იქნეს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი, რომელიც დეტალურად უნდა აღწერდეს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის, შეფასების პროცედურებსა და შეფასების კრიტერიუმებს.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესში გათვალისწინებული უნდა იყოს ეტაპობრივი და თანმიმდევრული პროცესები, რაც გულისხმობს კვლევითი პროცესების სისტემატიზაციას, მათ შორის, ხელმძღვანელის მხრიდან კვლევის მიმდინარეობაზე პერიოდული ზედამხედველობისა და სტუდენტისთვის უკუკავშირის მიწოდების პროცედურებს.

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, როგორც წესი, საშუალება უნდა ჰქონდეს დაესწროს სამაგისტრო ნაშრომის დაცვას და ჩაერთოს მის ირგვლივ გამართულ დისკუსიაში. ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობაში, შესაძლებელია, შედიოდნენ როგორც პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე - გარე ექსპერტები.

## V. დამატებითი ინფორმაცია

### 5.1. აკადემიური პერსონალი

სამართლის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას შესაძლებელია უზრუნველყოფდეს როგორც შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, ასევე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.



სამართლის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალი უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან ფუნქციონირებასა და სტუდენტებისთვის პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებას.

## 5.2. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

სამართლის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, უსდ-ში უნდა არსებობდეს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამის სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ:

- სასწავლო/სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები;
- პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო ფართი და ინვენტარი;
- იმიტირებული სასამართლო პროცესების გამართვის საშუალებები;
- საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობა და საკომუნიკაციო სისტემები;
- პროგრამის განსახორციელებლად საჭირო და მუდმივად განახლებადი წიგნადი ფონდი;
- სამართლის სფეროში უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები;
- განახლებადი საკანონმდებლო ბაზები;
- სამართლის სფეროს საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები;
- შესაბამისი სასწავლო მასალები;
- სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტების სწავლება-სწავლისა და კვლევის სათანადოდ განხორციელებას, ასევე, პრაქტიკული უნარების განვითარებას.

## 5.3. პროფესიაში შესვლის მარეგულირებელი კანონმდებლობა

პროფესიაში შესვლის მარეგულირებელ კანონმდებლობას განეკუთვნება:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;
- „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;
- „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;
- „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

## 5.4. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:



- უმაღლესი განალების I საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შემთხვევაში სტუდენტს კვალიფიკაცია – „ბაკალავრი“ ენიჭება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფეროს ქვეშ განთავსებულ პირველ სვეტში მითითებულ სწავლის სფეროში (სამართლის ბაკალავრი, საერთაშორისო სამართლის ბაკალავრი). ამასთან, სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული 240 კრედიტიდან სამართლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებს/საგნებს/მოდულებს უნდა დაეთმოს მინიმუმ 180 კრედიტი;
- უმაღლესი განალების II საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შემთხვევაში სტუდენტს კვალიფიკაცია – „მაგისტრი“ ენიჭება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფეროს ქვეშ განთავსებულ პირველ სვეტში მითითებულ სწავლის სფეროში (სამართლის მაგისტრი, საერთაშორისო სამართლის მაგისტრი) ან სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფეროს ქვეშ განთავსებულ მე-2 სვეტში მითითებულ სწავლის სფეროში (საჯარო სამართლის მაგისტრი, სისხლის სამართლის მაგისტრი, კერძო სამართლის მაგისტრი).

**VI. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ორგანიზაციის წევრები**

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1.	კახი ყურაშვილი	ა(ა)იპ - „ნიუ ვიუენ უნივერსიტეტი“	პროფესორი; სამუშაო ორგანიზაციის თავმჯდომარე.
2.	ანა ფირცხალაშვილი	შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი“	პროფესორი, საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი; სამუშაო ორგანიზაციის წევრი.
3.	ვახტანგ ზაალიშვილი	შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“	ასოცირებული პროფესორი, სამართალმცოდნეობის საბაკალავრო და შედარებითი კომერციული სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი. სამუშაო ორგანიზაციის წევრი.
4.	კონსტანტინე ჩოკორაია	სსიპ - „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“	ასოცირებული პროფესორი, სამართლის სკოლის



			ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი; სამუშაო ჯგუფის წევრი.
5.	<b>დავით ბოსტოლანაშვილი</b>	სსიპ - „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	ასოცირებული პროფესორი; სამუშაო ჯგუფის წევრი.
6.	<b>იოსებ ხუციშვილი</b>	თბილისის პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტრო	თბილისის პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების უფროსის მოადგილე; სამუშაო ჯგუფის წევრი.
7.	<b>ზვიად გაბისონია</b>	სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი	გენერალური დირექტორი; სამუშაო ჯგუფის წევრი.
8.	<b>მიხეილ ბიჭია</b>	შპს „ევროპის უნივერსიტეტი“	ასოცირებული პროფესორი; სამუშაო ჯგუფის წევრი.
9.	<b>ზვიად როგავა</b>	შპს „აღმოსავლეთეევროპის უნივერსიტეტი“	იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, სამართლის საბაკალავრო და საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი; სამუშაო ჯგუფის წევრი.
10.	<b>ირინე ქურდაძე</b>	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საერთაშორისო სამართლის მიმართულების პროფესორი, საერთაშორისო ორგანიზაციების სამართლის მოდულის





			ხელმძღვანელი, აკადემიური საბჭოს წევრი; სამუშაო ჯგუფის წევრი.
11.	<b>ქეთვან ხუციშვილი</b>	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, საერთაშორისო სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის სასწავლო და კვლევითი ცენტრის დირექტორი; სამუშაო ჯგუფის წევრი.
12.	<b>მარიკა გოგოლაძე</b>	სსიპ - „საქართველოს ნოტარიუსთა პალატა“,	გამგეობის თავმჯდომარე; სამუშაო ჯგუფის წევრი.
13.	<b>ირაკლი ყანდაშვილი</b>	სსიპ - „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	სამართლის დოქტორი; ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, საგანმანათლებლო საბჭოს თავმჯდომარე; სამუშაო ჯგუფის წევრი.
14.	<b>ალექსანდრე იაშვილი</b>	იუსტიციის უმაღლესი სკოლა	მასწავლებელთა საბჭოს წევრი; სამუშაო ჯგუფის წევრი.

სამართლის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს მიერ სამართლის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მიღების თარიღი: 26/03/2020